# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №4
## 2019 წლის 31 იანვარი

## ქ. ვანი

**„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ " ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ " ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03.01.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016267) და დადგენილების მეორე მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ვანის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** — **ალექსანდრე ლილუაშვილი**

**დანართი 1**

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურება**

| № | პოზიციის დასახელება | რაოდენობა | შრომითი ანაზღაურების ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე | 1 | 650 |
| 2 | მძღოლი | 1 | 900 |
| 3 | სპეციალისტი (მდივანი) | 1 | 650 |
| 4 | აიტი სპეციალისტი | 1 | 750 |
| 5 | საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში | 1 | 650 |
| 6 | საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში | 1 | 650 |